სავარჯიშო N1 - იპოვეთ ერთგვარი წევრები და განსაზღვრე რომელ სიტყვასთან არიან ისინი დაკავშირებულნი;

1. მერე შალვა ღელეში გაწვა, ხელ-ფეხს იქნევდა, კოტრიალობდა, წყალში ნებივრობდა.
2. შორს გზაზე ცხენოსნები ხან ჩნდებოდენ მიმქროლავ წერტილებათ, ხან ისევ იმალებოდენ.
3. ეზოში შემოვიდა წელში მოხრილი, კოჭლი, ძონძებში გახვეული მათხოვარი
4. მინდვრები და ქედები გვალვას სულ მთლად გადაეჭკნო.
5. ასე შერთეს მარიტას უყვარული, უნდომი, მლაშე,ზვიადი და ყომრალი ქმარი.
6. ზაფხულის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაცივარი.
7. მდინარე წყნარად, უჩუმრად მოკამკამებდა.
8. ციციკორე მივიდა კუბოსთან, დაიღუნა, აიღო ერთი მუჭა მიწა და კუბოს მიაყარა...
9. „ თერგიდამე სოლაღს წაველ, სოლაღიდამ აშტრახანსა; მუნით მოსკო[ვ]ს მეფე ვახტანგს...
10. -გოგიტა, უსათუოდ დაბრუნდება მამაშენი, წელს თუ არა, გაისად.

სავარჯიშო N2 - მოცემული მარტივი წინადადებები გადააკეთეთ შერწყმულ წინადადებებად;

მაგალითად, „გარეთ ცივი ქარი ქროდა“ → გარეთ ცივი, სუსხიანი ქარი ქროდა.

1. გამთარში ბელურებს სცივათ.
2. სოფელში ერთი ღრიანცელი ატყდა
3. შიმშილისაგან შეწუხებული მგლები ყმუოდნენ...
4. ამ მცენარეებს ბევრი წყალი არ სჭირდებათ.
5. მე მას ყვავილების თაიგული ვაჩუქე.